# თავისუფალი საქართველო

№22

13-19 ოქტომბერი

1995 წ.

ფასი 5 თეთრი

სარეგისტრაციო მოწმობის
№ 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## აირჩიეთ, ქართველებო!

მართალია, უმძიმესი დროა და საქართველო კვლავ ახალი განსაცდელის წინაშე დგას, მაგრამ მსგავს კრიტიკულ მომენტებში ქართველი ხალხი ყოველთვის ჩვეული სიდინჯითა და სიბრძნით მოქმედებდა.

"და აი, მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ:

ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა... აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა.

აირჩიე, ქართველო ერო!

აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე!"

გავიხსენოთ ის დღე, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ამ სიტყვებით მოგვმართა და ნუ დავივიწყებთ ყოველივე იმას, რაც მოხდა საქართველოში.

ისინი, ვინც დღეს ქართველ ხალხს არჩევანის წინაშე აყენებენ, ისინი, ვინც დღეს უკანონო, ცრუ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ათასგვარ ხრიკებს იყენებენ, რათა რაც შეიძლება მეტი ხალხი მიიყვანონ საარჩევნო ურნებთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ სისხლით მოსულნი არიან.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ საქართველოს მოსახლეობის ნება ფეხქვეშ გათელეს. ოკუპანტების დახმარებით, მტრის ინტერესების სასარგებლოდ, განდევნეს საქართველოდან კანონიერი ხელისუფლება, დახვრიტეს მშვიდობიანი მიტინგები, ციხეები აავსეს ნაწამები პოლიტპატიმრებით, რომლებსაც ბრალად ედებათ სამშობლოს ერთგულება, ბარბაროსულად ააოხრეს ქალაქები და სოფლები, გადაწვეს სახლები, ააწიოკეს ოჯახები, დააქუცმაცეს და გაასხვისეს საქართველოს სხეული და კვლავ რუსეთის იმპერიას გადასცეს.

არც პოლიტიკურად, არც სამართლებრივად, არც ზნეობრივად ელემენტარული გამართლება არ აქვს მათ მიერ დანიშნულ არჩევნებს, რადგან საქართველოს მოსახლეობის მიერ საყოველთაოდ არჩეული კანონიერი ხელისუფლება ერთადერთი იურიდიული ძალის მქონეა და მას არ მოუხსნია უფლებამოსილება.

1992 წლის 11 ოქტომბერს გათამაშებულ "დემოკრატიულ" არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს ჭეშმარიტმა ეროვნულმა ძალებმა, არჩევნები არ ჩატარებულა საქართველოს

## საუნივერსიტეტო საზოგადოება ბოიკოტს უცხადებს უკანონო არჩევნებს

ტერიტორიის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ფსიქოლოგიური ზემოქმედებით და ფიზიკური ზეწოლით ხალხი დააშინეს და ამ გზით მიიყვანეს ურნებთან, მაგრამ მაინც არ დაიმალა ის, რომ II ოქტომბრის არჩევნები გაყალბებული იყო. ფალსიფიცირებული "არჩევნების" შემდეგ, ისინი შეინიღბნენ პარლამენტის სახით და ხალხს თავს მოახვიეს კრიმინალური, მაფიოზური, კომუნისტური კლანის ნება. არ დაიშურეს ძალა და ენერგია, რათა ქართველი ერი მოეწყვიტათ ეროვნულ-სულიერ საწყისებს და ჩაეთრიათ მსოფლიოს ახალი გადანაწილების მზაკვრულ პროცესებში.

მათ, გარკვეულ წილ, მიაღწიეს შედეგს. ზოგს ანგარებამ დაუბნელა გონება, ზოგმა სული მიჰყიდა ეშმაკს... დასაფიქრებელია ისიც, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ისე ცხოვრობს, თითქოს არც არაფერი მომხდარა და არც არაფერი ხდება - ინერტულად, უგულოდ, უსულოდ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო იწყება თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნებიდან და ჩვენ უფლება არ გვაქვს შორიდან ვუყუროთ და შევაფასოთ მოვლენები, თუკი საქართველო ტკივილია ჩვენი.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ისინი, ვინც დღეს პრეზიდენტის არჩევნებზე ლაპარაკობენ, სულ რამოდენიმე ხნის წინ გაიძახოდნენ - საქართველოსთვის უცხოა საპრეზიდენტო მმართველობაო.

სულ ცოტა ხნის წინ ისინი ამაყობდნენ პუტჩის მოწყობით, კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ტერორით, სისხლისღვრით...

ახლა გმობენ პუტჩს, ერთმანეთს აბრალებენ თავიანთ ბნელ საქმეებს და მათი ანგარიშსწორების მოწმენი ვართ.

თავს ნუ მოვიტყუებთ, ისინი ამასაც არ სჩადიან თავიანთი ნებით. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების მიერ მხილებულნი არიან, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა და მათაც სხვა რა გზა დარჩენიათ, თუ არა ქამელეონივით გარდაქმნისა.

მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რაც მოხდა და რაც ხდება საქართველოში! და თუ კიდევ ვინმე ვერ გარკვეულა, დაუსვას საკუთარ თავს ერთადერთი კითხვა:

- რა მოუტანეს მათ საქართველოს?

კონკრეტული მაგალითების საფუძველზე გავაანალიზოთ, გავიაზროთ და გამოვიტანოთ დასკვნა.

საუნივერსიტეტო საზოგადოება მიმართავს ქართველ ერს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს - ბრძოლა არ დამთავრებულა, მეგობრებო! ჩვენი ბრძოლის გზა კვლავაც სამართლიანია, მშვიდობიანი, მაგრამ უკომპრომისო. ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების და კანონიერების აღდგენა იხსნის საქართველოს.

საუნივერსიტეტო საზოგადოება ბოიკოტს უცხადებს უკანონო არჩევნებს!

## წინასაარჩევნო ტერორი

არჩევნების წინ დასავლეთ საქართველოში დაიწყო განდევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მასიური დაპატიმრებები. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სამეგრელოში დაპატიმრებულია 25 კაცზე მეტი, ძირითადად კანონიერი ეროვნული გვარდიის ყოფილი მეომრები, რომელთაც ირწმუნეს ფაქტობრივი ხელისუფლების სამშვიდობო პროპაგანდა, ჩააბარეს იარაღი და 1994 წლიდან მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდნენ. დაკავებულთა შორის ჩხრიკეს "ჭყონდიდელის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის - ბადრი კაკაჩიას მშობლების ბინა. ბ-ნი ბადრი ბოლო ორი თვის განმავლობაში ორჯერ იყო დაპატიმრებული. საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა ზუგდიდის სექციის წევრს მადლენა დამენიას ნათესავის ბინაში, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს (ვინაიდან მის ბინაში შესახლებულია ზუგდიდის პოლიციის ყოფილი შეფი), ასევე მოუწყვეს უსანქციო ჩხრეკა. აქაც ეძებდნენ საბეჭდ მანქანას.

ნაცვლად), რომელმაც აღუთქვა მათ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. მეორე დღეს გამავრცელებლები კვლავ დაარბიეს და გაზეთები ჩამოართვეს.

ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭკადუაშის პოლიციაში თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს ადამიანის უფლებათა დამცავი გოგი შონია მხოლოდ იმისთვის, რომ მან გაბედა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა საფრანგეთიდან სტუმრად ჩამოსულ აშილ და სალომე მიურატის შთამომავალთ.

არიან ადამიანის უფლებათა და პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებიც. საქართველოს ჰელსინკის კავშირი ჯერჯერობით სრულად არ ფლობს ზუსტ მონაცემებს დაკავებულთა შესახებ, რადგან, რეჟიმის გამკაცრების გამო, გართულდა კონტაქტი იმ პირებთან, რომლებიც რეგულარულად აწვდიდნენ ჰელსინკის კავშირს ინფორმაციას რეგიონში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ.

ზუგდიდში, განდევნილი ხელისუფლების მომხრეთა ბინებში განხორციელდა მასიური ჩხრეკები, ბევრი პოლიტიკური ოპონენტი იძულებული გახდა დამალულიყო ან საერთოდ დაეტოვებინა ქალაქი. აბაშაში, საკუთარი სახლიდან აიყვანეს საქართველოს ჰელსინკის კავშირის აბაშის ორგანიზაციის თავმჯდომარე დურუ გუგუშვილი, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მისი დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი ადგილობრივ მოსახლეობაში უკანონო არჩევნების ბოიკოტის აქტიური პროპაგანდაა.

პოლიციაში დაიბარეს: ზუგდიდის რაიონის სოფ. ჩხორიაში მცხოვრები ჰელსინკის კავშირის ზუგდიდის ორგანიზაციის გამგეობის წევრი ელგუჯა ბერულავა, აგრეთვე - მურმან ფიფია, ველოდი ფიფია და მურმან შეროზია, სოფელ ჯვარში მცხოვრები ცნობილი ქირურგი კონსტანტინე შეროზია. "პროფილაქტიკური" ღონისძიებების ჩატარების შემდგომ ისინი გაათავისუფლეს.

ზუგდიდში, საოლქო საბოიკოტო კომიტეტის მიერ მოწოდებების დაბეჭდვისა და გავრცელების გამო, უსანქციო ჩხრეკა მოაწყვეს ლამარა ქარდავას ბინაში, წაიღეს დოკუმენტები, ეძებდნენ საბეჭდ მანქანას. ქ-ნი ლამარა განთავისუფლებულია სამსახურიდან განსხვავებული აზრის გამო. გა-

ბათუმში დააპატიმრეს და შემდგომ აბაშის რაიონის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს აბაშის მკვიდრნი - ბუთხუზ ჯგალაღონია და ელდარ კაკუჩია. წინასწარი მონაცემებით, მათ ბრალი ედებათ სამშობლოს ღალატში და ბანდიტური თავდასხმების განხორციელებაში.

13 სექტემბერს, ზუგდიდის ბაზრის ტერიტორიაზე, პოლიციელებმა ცეზარ გობეჩიამ და ფრიდონ ჩხეიძემ დაარბიე[illegible] ოპოზიციური გაზეთების გამავრცელებლები. გამავრცელებლებმა საჩივრით მიმართეს ზუგდიდის ახალ მმართველს ბონდო ჯიქიას (კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, ცოტა ხნის წინ შევარდნაძის მიერ დანიშნული მხედრიონელ ედიშერ ჩარგაზიას

მხედრიონელთა მასიურმა დაპატიმრებებმა და ხელისუფალთა განცხადებამ, რომ გამოიკვლევენ სამეგრელოში მათ მიერ მხეცური სისასტიკით განხორციელებულ მასიურ ბოროტმოქმედებებსა და ძარცვის ფაქტებს, აგრეთვე, დაწყებულმა რეპრესიებმა კვლავ შეაშფოთა მოსახლეობა. აშკარაა - ზემოაღნიშნული გამოწვეულია ხელისუფალთა შიშით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ბოიკოტს გამოუცხადებს უკანონო არჩევნებს.

საქართველოს ჰელსინკის
კავშირის
ადამიანის უფლებათა
კომისია

## დასავლეთის კრედიტები შევარდნაძის კამპანიის სასარგებლოდ

უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი დაგეგმილი ფალსიფიკაციის შესახებ

... შევარდნაძე, როგორც პოლიტიკოსი, აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს. მან უნდა ჩაატაროს რეპრესიები, განდევნოს უშიშროების სამსახური. მან დანიშნა გუბერნატორები, პოლიციის უფროსები. ყველამ იცის, რომ ვის ხელშიაც არის შსს, ის იმარჯვებს არჩევნებში. ურნები უკვე მზადაა. ისინი უკვე დალუქულია. მოსახლეობა ვერც კი წარმოიდგენს ფალსიფიკაციის იმ მასშტაბებს, რაც იქნება 5 ნოემბრის არჩევნებში.

... კაპიტალი, თუ ის არსებობს, გაძლევს საშუალებას სითამამისა მოქმედებაში, პოლიტიკაში. რომ არსებობდეს დამოუკიდებელი, სერიოზული საექსპერტო კომისია, ის დაადგენდა, რომ 24 მლნ. დოლარი მარტო ერთი საზღვარგარეთული კრედიტიდან იქნება დახარჯული საარჩევნო კამპანიაზე. ეს - რაც ცნობილია.

"მსგეფსი", 1995, №6(45)

## მკითხველთა საყურადღებოდ:

წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი «თავისუფალი საქართველო« გაიყიდება ფასდაკლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები წერილები წერილები

# იმედის ბოიკოტი

### ალექსანდრე ქორელი

მოახლოებულმა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებმა არ შეიძლება თავსატკივარი არ გაუჩინოს საქართველოს მრავალტანჯულ მოსახლეობას. ისევ დგას ყოფნა-არყოფნის საკითხი. ისევე, როგორც 1992 წლის ოქტომბერს, დღესაც არჩევანი დგას ჩვენს წინაშე - სხვის დუდუკზე ვიცეკვოთ, თუ საკუთარი ნება გამოვხატოთ.

გასაგები მიზეზების გამო, პოტენციური ამომრჩევლები სამ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: ერთნი - სრული შეგნებითა და მონდომებით მიაშურებენ საარჩევნო უბნებს, რათა განიმტკიცონ ბოლო ოთხი წლის მანძილზე თანამოძმეთა სისხლის ფასად მოპოვებული პოზიციები; მეორენი - ასევე შეგნებულად შეაქცევენ არჩევნებად წოდებულ კომედიას ზურგს და სახლებში დარჩებიან, ვინაიდან 5 ნოემბრის ღონისძიებას ისევე უკანონოდ მიიჩნევენ, როგორც წინა "იმედის არჩევნებს"; მესამენი, საკმაოდ მრავალრიცხოვანნი - შეიძლება მერყევთა რიგს მივაკუთვნოთ. მეტის ალბათობით და ძველი, საბჭოეთის დროინდელი გულუბრყვილობით აღჭურვილნი, ისინი მოიხდიან თავიანთ "მოქალაქეობრივ ვალს".

არჩევნების შედეგები, ამგვარად, თითქმის სრულად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ: პრეზიდენტი - ცნობილია, პარლამენტის ორი მესამედი (თუ მეტი არა...) "მოქალაქეების", "სოციალისტების", "კომუნისტების" და "ეროვნული დემოკრატების" რიგებიდან დაკომპლექტდება; დარჩენილი ერთი მესამედი (ან ნაკლები...) ფსევდოოპოზიციიდან იქნება არჩეული.

ცხადია, ამგვარი პროგნოზი იმ შემთხვევაში გამართლდება, თუ არჩევნებში ელექტორატის ნახევარზე მეტი (50%+1) მიიღებს მონაწილეობას. საბოლოო ჯამში საქართველოში გვექნება საკმაოდ ნაცნობი სურათი - კომუნისტურ-კომკავშირული ნომენკლატურის ძველებური პარპაში, "ინტერნაციონალიზმის ლაბორატორიაში" გაგრძელებული ექსპერიმენტები, რუსის სამხედრო მანქანის გრიალი საქართველოს სულ უფრო და უფრო დიდ ტერიტორიებზე, ჩვენი შვილების, შვილიშვილების და მათი შვილების გადასახდელი ტრილიონდოლარიანი ვალები. ჩვენ "მაძღრები", ან ვითომ მაძღრები დავრჩებით. წერტილი.

ჩემის მოკრძალებული აზრით, თუ საბოლოოდ არ გავპირუტყვდით, ამგვარ არჩევნებს ისევ ბოიკოტი აჯობებს. ბოიკოტს კი, სუ ცოტა, ორი გამართლება აქვს - ზნეობრივი და იურიდიული.

ვიდრე ზნეობრივს შევეხები, ყველას, ვისაც მეხსიერება ღალატობს, შევახსენებ, რომ წლევანდელი არჩევნები უკანონოდ არჩეული პარლამენტის მიერ დაინიშნა. უკანონო იყო "იმედის არჩევნების" საკუთრივ მექანიზმი, ვინაიდან საარჩევნო კანონში, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ მასში ცვლილებების შეტანა კატეგორიულად დაუშვებელია, შეტანილი იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები და ამის შედეგად პარლამენტში ისეთმა ძალებმა ამოყვეს თავი, ვისაც ამის არავითარი უფლება არ ჰქონდა (ყბადაღებული "საკომპენსაციო სიები"). არჩევნები დაინიშნა და ჩატარდა მანამ, სანამ ვადა გაუვიდოდა წინა არჩევნების შედეგად შექმნილ უზენაეს საბჭოს. 1992 წლის 11 ოქტომბრისთვის საარჩევნო უფლება ძალადობით ჰქონდა წართმეული სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოსახლეობას. დაფიქსირდა და, მოგვიანებით, გაცხადდა საარჩევნო დოკუმენტაციის გაყალბების უამრავი ფაქტი. იურიდიული სისულელე იყო პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები პარლამენტის არჩევნების პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად - ისიც ერთი კანდიდატის პირობებში.

ერთი სიტყვით, მექოთნემ ქოთანს ყური იქ გამოაბა, სადაც მოესურვა. ესაა, რომ ქოთანი ღამისა გამოდგა, ხოლო ყური, ადგილის ეკონომიის მიზნით, შიგნიდან გამოაბეს. არავის ვახვევ თავს ჩემს პირად მოსაზრებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ 5 ნოემბრის არჩევნები ჩემი მოქალაქეობრივი უფლების უხეში დარღვევაა. თუმცა, ეს, ალბათ, უფრო ზნეობრივი საკითხია.

ორიოდ სიტყვას შევაწევ იმათ ზნეობას, ვინც ძალაუფლების მწვერვალებისკენ მიილტვის. რა თქმა უნდა, კომუნისტურ-კომკავშირული ალიანსის წევრების ე.წ. ზნეობაზე სათქმელი არაფერია. არც ყოფილი ქუჩისა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებია სინდისიერი კაცის სახსენებელი. მხოლოდ იმათ ზნეობაზე მოგახსენებთ, ვისაც "საგიტაციო ტრიბუნის მოპოვება" და "ციხის შიგნიდან გატეხვა" მოუწადინებია. მაპატიონ გუშინდელმა თანამოაზრეებმა, მაგრამ ერთი კოვზი თაფლი კუპრით სავსე კასრს ვერ დაატკბობს და ზნეობაზეც მისთვის მოგახსენებთ, რომ მათ ეს მშვენივრად იციან. ბილწთან ზავით შეკვრა ყოველთვის ბილწის გამარჯვებაა, ხოლო ბილწის გამარჯვება - საქართველოს დამარცხება. ვის აწყობს გუშინდელ შეურიგებელთა მონაწილეობა წლევანდელ არჩევნებში? პასუხი ამ შეკითხვაზე, ვფიქრობ, მხოლოდ კლინიკურმა იდიოტმა არ იცის.

რა მოხდება არჩევნების ჩაშლით, ანუ ბოიკოტის წარმატებით? ხელმოცარულთა დამლა იმათ შეხვდება, ვისაც ეკუთვნის, ხოლო ერს ღირსეული მომავლის მიმქრალი იმედი კვლავ გაუღვივდება. ეს პატარა საქმე როდია. უნდა გვახსოვდეს, რომ ერის ღირსების საქმეა არ ჩაატაროს თვალთმაქცური არჩევნები, ვიდრე წართმეული გვაქვს მიწა-წყლის ერთი მეოთხედი, ვიდრე მოსახლეობის მეექვსედი უსახლკარო ბოგანოა, ვიდრე სამშობლოს მოღალატენი არ წარდგებიან პირუთვნელი მართლმსაჯულების წინაშე. არჩევნების ჩატარება, უბრალოდ, სამარცხვინოა, ვიდრე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხედარი სამშობლოში არ მოისვენებს.

# ვინ იჯდა თვითმფრინავში კვლავ უცნობია

9 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯუმბერ პატიაშვილმა გამართა პრესკონფერენცია ჟურნალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობისთვის. აქ თავი მოიყარეს გადამდგარმა ფუნქციონერებმა, ზვიად გამსახურდიას სახელს ამოფარებულმა ხელმოცარულმა პოლიტიკოსებმა, თავგზააბნეულმა "ზვიადისტებმა". პრეზიდენტობის კანდიდატი შეკრებილთა წინაშე საკმაოდ უფერული, თუმცა კარგად აწონილ-დაწონილი სიტყვით წარდგა. მას ყურადღება არ გაუმახვილებია პოლიტიკურ საკითხებზე, სამაგიეროდ, დაწვრილებით შეეხო ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ და კრიმინოგენულ სიტუაციას და აღნიშნა, რომ "აფეთქების" შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. მშვიდი ტონითა და არსებული ხელისუფლებისთვის სრულიად უვნებელი პოზიციით, პატიაშვილმა რამდენიმე სიტყვით მიმოიხილა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემა.

ჯ. პატიაშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი თავის წამოყენება ახსნა იმით, რომ "ასე ცხოვრება აღარ შეიძლება". მან განაცხადა, რომ არსებულმა ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი შექმნილ პრობლემებს: დამარცხდა ომებში(?), დაკარგა ტერიტორიები, დღემდე გადაუჭრელია ლტოლვილების პრობლემა. თუმცა, ამ საკითხის მოგვარებას არც თვითონ შეჰპირებია ამომრჩევლებს.

მართალია, პრეზიდენტობის კანდიდატი განსაკუთრებული ენთუზიაზმით იხილავდა არსებული ხელისუფლების დანაშაულებრივ პოლიტიკას, მაგრამ ცდილობდა, ამ დანაშაულებათა წარმოჩინებისას ნაკლებად ეხსენებინა სახელმწიფოს მეთაურის სახელი,

რომლის შესახებაც ორიოდე დღის უკან ტელევიზიით განაცხადა: მე რომ კენჭს არ ვიყრიდე, ედუარდ შევარდნაძეს მივცემდი ხმასო.

ასეთი ბუნდოვანი და ორაზროვანი დამოკიდებულება სახელმწიფოს მეთაურისადმი, ალბათ, იმით არის გაპირობებული, რომ 9 აპრილიდან მოყოლებული, სიმართლის თქმაში პატიაშვილს მუდმივად შევარდნაძის ფენომენი უშლის ხელს. შესაბამისად, პრესკონფერენციაზე დასმულ შეკითხვებს პასუხი ამ სტილში გაეცა.

ჯუმბერ პატიაშვილმა უარყო მისდამი წაყენებული ბრალდებები: მას არც "მხედრიონი შეუქმნია და არც პანტელეიმონ გიორგაძის ბინაში დაუმონტაჟებია საიდუმლო სარკმელი".

შეკითხვას - მიაჩნია თუ არა ი.დოკვაძე და პ.გელბახიანი პოლიტპატიმრებად, - პატიაშვილმა კომუნისტური პირდაპირობით გასცა პასუხი: თურმე, მათ შეწყნარებაზე ხელი იმიტომ არ მოაწერა, რომ შემთხვევის ადგილზე მისი ნაცნობი გარდაიცვალა, ხოლო კულუარებიდან შეიტყო, რომ მათ დახვრეტას ისედაც არ უპირებენ, ამიტომ ამის აუცილებლობაც არ იყო.

არც ამ პრესკონფერენციაზე აეხადა ფარდა საიდუმლოს, ვინ იჯდა მაშინ იმ ცნობილ თვითმფრინავში. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია გუმბარიძეს გააჩნია.

პრესკონფერენცია მოსალოდნელი ექსცესების გარეშე ჩატარდა. დამსწრე საზოგადოებამ რამდენჯერმე მქუხარე ტაშით დააჯილდოვა პრეზიდენტობის კანდიდატი მოსწრებული სიტყვისთვის და იმედი მისცა, რომ იგი ნამდვილი პრეზიდენტი გახდება.

ქ.ქ.

# პოლიტპატიმარი გოჩა მახვილაძე შიმშილობს

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ "გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" მონაწილე მსჯავრდებულმა - გოჩა მახვილაძემ, რომელიც სასჯელს იხდის ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ა.წ. 2 ოქტომბრიდან უვადო მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. მოშიმშილე სამი დღის შემდეგ, 5 ოქტომბერს, კოლონიის უფროსმა - ბ-ნმა ბ.თოფურიამ კარცერში მოათავსა. ამავე დღეს გოჩა მახვილაძემ განცხადებით მიმართა საქართველოში არსებულ აშშ-სა და გერმანიის საელჩოებს, საერთაშორისო წითელ ჯვარს, გაეროს წარმომადგენლობას, ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტსა და პრესას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1995 წლის 24 მარტს პოლიტპატიმარმა მიმართა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს - ბ-ნ ჯ.ბაბილაშვილს. ამ მიმართვაში იგი უარს აცხადებს 1992 წლის 3 აგვისტოს სახელმწიფო მანიფესტით მინიჭებულ ამნისტიაზე და მოითხოვს 24 ივნისს სატელერადიოდეპარტამენტის შენობაზე განხორციელებული თავდასხმის საქმის გამოძიებას, "სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის" მის გასამართლებას და ზემოაღნიშნული საქმის მთელი მასალების მისთვის გასაცნობად გადაცემას ( გოჩა მახვილაძე 1992 წლის 24 ივნისს დააპატიმრეს ტელერადიოდეპარტამენტის შენობაში). ა.წ. 13 აპრილს გოჩა მახვილაძემ იგივე შინაარსის განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს - ბ-ნ თ.ნინიძეს, ხოლო 8 ივნისსა და შემდეგ 3 აგვისტოს - ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს - ბ-ნ ს.კავსაძეს. მსჯავრდებულს არც ერთ განცხადებაზე პასუხი დღემდე არ მიუღია. ამჟამად პოლიტპატიმარი იგივე მოთხოვნებს აყენებს და ითხოვს ბ-ნ სანდრო კავსაძესთან და ჟურნალისტებთან შეხვედრას. ოჯახის წევრთა გადმოცემით, მის შიმშილობას ჯერჯერობით არავის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. არაერთი საპროტესტო შიმშილობის შედეგად, გოჩა მახვილაძის ჯანმრთელობა საგრძნობლადაა შერყეული.

# ადვოკატები მოითხოვენ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას

**საქართველოს რესპუბლიკა**
**სახელმწიფოს მეთაურს - ბ-ნ ე.შევარდნაძეს**
**გენერალურ პროკურორს - ბ-ნ ჯ.ბაბილაშვილს**
**უშიშროების სამსახურის უფროსს - ბ-ნ ა.იოსელიანს**
**ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს - ბ-ნ ა.კავსაძეს**

1995 წლის 29 აგვისტოს მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით 30 აგვისტოს, დილის 6 საათზე, უშიშროების სამსახურის უფროსის ი.გიორგაძის უშუალო მითითებით დაკავებულ იქნენ ზურაბ ვარდოსანიძე, თამაზ ელაშვილი, გიორგი ონიაშვილი და სხვები - სულ 10 პიროვნება, რომელთაც წარედგინათ იურიდიულად ყოველგვარად დაუსაბუთებელი ბრალდება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 67-ე და 73-ე მუხლებით. მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებას არ გააჩნია მტკიცების არც ერთი საფუძველი, არ არის დადგენილი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

თვით სახელმწიფოს მეთაურმა, ბ-ნმა ე.შევარდნაძემ თავის სატელევიზიო გამოსვლაში გამორიცხა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მონაწილეობა ზემოაღნიშნულ ტერორისტულ აქტში.

1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით ეჭვმიტანილნი არიან სულ სხვა პირები, რომელთაც ბრალი ედებათ კონკრეტულ ტერორისტულ აქტში მონაწილეობის გამო და ამ საქმეს იძიებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილება გენერალური პროკურორის - ჯ.ბაბილაშვილის ზედამხედველობით.

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის საგამოძიებო განყოფილების მიერ ზემოაღნიშნული პირების მიმართ წაყენებულია უსაფუძვლო ბრალდება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ მტკიცებას, მოვითხოვთ უსაფუძვლო წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და მათ მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტას საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის საფუძველზე ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო.

*ადვოკატები:*
*თემურ გვიშიანი (იცავს ზ.ვარდოსანიძეს)*
*ოთარ აბაზაძე (იცავს თ.ელაშვილს)*
*ქეთევან ბექაური (იცავს გონიაშვის)*

# აფეთქების კიდევ ერთი მსხვერპლი

**თამაზ ელაშვილი, დაბადებული 1940 წელს თბილისში, პროფესიით ბიბლიოგრაფი, დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის თელასის სამმართველოში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.**

ა.წ. 30 აგვისტოს, დილის 7 საათზე თ.ელაშვილის საცხოვრებელ ბინაში მივიდა ათამდე შეიარაღებული პირი, რომელთაც განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილი ოპერატიული მონაცემების თანახმად, ელაშვილი ეჭვმიტანილი იყო ყაჩაღობაში და ბინაში ინახავდა იარაღს. პირადობის დამადასტურებელი მოწმობებისა და ჩხრეკის ორდერის წარდგენის გარეშე, შეიარაღებულმა პირებმა გაჩხრიკეს ბინა ერთი მოწმის თანდასწრებით და ჩხრეკის ოქმის გაფორმების შემდეგ, რომლის ასლი, უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ოჯახის წევრებს, რატომღაც, არ დაუტოვეს. "ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი", ყოველგვარი სანქციის წარდგენის გარეშე, წაიყვანეს ქალაქის უშიშროების სამმართველოში. ორი დღის მანძილზე ახლობლებს უმალავდნენ დაკავებულის ადგილსამყოფელს. მხოლოდ შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ ელაშვილი, ბრალის წაუყენებლად, გადაუყვანიათ სუკ-ის იზოლატორში. სუკ-ის იზოლატორში მოთავსების შემდეგ, ძიებამ დაუნიშნა სახაზინო დამცველი, რომელიც მეუღლის მიერ იქნა აცილებული. ამჟამად თამაზ ელაშვილს იცავს ადვოკატი ოთარ აბაზაძე.

8 სექტემბერს როგორც იქნა გაირკვა, რომ თამაზ ელაშვილს წინასწარი ბრალდება წაუყენეს. მას, 30 აგვისტოს დაპატიმრებულთა მსგავსად, ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე (სამშობლოს ღალატი), 67-ე,4 (სახელმწიფო მოღვაწის ქონების დაზიანება ან განადგურება) და 73-ე,2 (ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ოჯახის წევრთა ცნობით, თამაზ ელაშვილს აწუხებს გული და დაავადებულია ჰიპერტონიით.

ნ.ჩ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტისაარჩევნო ტრიბუნა

ზურაბ ტაბიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

# ამ არჩევნებში მონაწილეობა გაუმართლებელია თვით რელიგიური თვალსაზრისით

კორესპონდენტი: - ბატონო ზურაბ, საზოგადოებას აინტერესებს 5 ნოემბრის აჩევნების მიმართ არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ მეცნიერების სხვადასხვა წარმომადგენლების მოსაზრებები.

ზურაბ ტაბიძე: - მე ვთვლი, რომ ქართველმა ხალხმა ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს ამ არჩევნებს, რადგან დღეს მასში მონაწილეობა გამოიწვევს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის საბოლოო დაკანონებას, რუსეთის სამხედრო ბაზების დამკვიდრებას საქართველოში, მსოფლიოს შეუქმნის ილუზიას, რომ საქართველო არის ის ტერიტორია, სადაც არჩევნები ჩატარდა და მისი ხალხი კმაყოფილია ფაქტობრივი მდგომარეობით. დადებითს არჩევნების ჩატარებაში ამ პირობებში - ვერაფერს ვხედავ.

კორ. - არსებობს კონტრარგუმენტები, რომლებიც არჩევნების მომხრე ოპოზიციას მოჰყავს, მაგალითად ის, რომ უცხოეთში არავინ ცნობს პოლიტიკურ ძალად პარტიებსა და პიროვნებებს, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ, რომ ეს ბრძოლის ფორმაა და, როდესაც პოლიტიკური ბრძოლის სხვა გზებს ხელისუფლება ძალადობით ახშობს, ეს გზაც უნდა ვცადოთ.

ზ.ტ. - თუ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ ბოიკოტის მომხრეები, მაშინ რატომაა გაჩაღებული აგიტაცია არჩევნების სასარგებლოდ და რატომ ცდილობენ ასე დაჟინებით მათ ჩათრევას ამ საარჩევნო სპექტრში? რაც შეეხება ბრძოლას, რატომ უნდა ავირჩიოთ ბრძოლის მომენტად მაინცადამაინც 5 ნოემბერი, როდესაც იძულებულნი ვიქნებით მისი კანონებით, მისთვის სასურველ ვითარებაში და მის ტერიტორიაზე (საარჩევნო უბნებში), სადაც იგი ასე ძლიერია, ვებრძოლოთ მტერს? ამიტომ, ჩვენ არ უნდა ჩავებათ რუსეთის თამაშებში, რომლის ნაწილია საარჩევნო ხრიკებიც, რომლითაც მას სურს დაგვიკანონოს ტერიტორიების წართმევა. თვით რელიგიური თვალსაზრისითაც კი, გაუმართლებელია არჩევნებში მონაწილეობა, რადგან ყველაზე დიდი "დამკვირვებელი" ღმერთია და თუ ქართველი ერის უმრავლესობა წავა ხმის მისაცემად, რაღა პირით უნდა შესთხოვოს ღმერთს საქართველოს დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის დაბრუნება? მაშინ ჩვენ თავისუფლების სურვილის უფლებასაც ვკარგავთ. ეს განსაკუთრებით ეხება კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მომხრეებს. ჩვენ ხომ წინასწარ მშვენივრად ვიცით, თუ რა ხერხებით ხდება არჩევნების გაყალბება, ვიცნობთ კომუნისტურ პრაქტიკას. ახლა ავყვეთ ამ სპექტაკლს, მერე კი ვთქვათ - გაყალბებულად და უკანონოდ ჩატარდა არჩევნებიო, არაა მართებული. ნუ ვიჩქარებთ, მსოფლიო პროცესები ისე მიდის, რომ რუსეთს ვერაფერი გადაარჩენს. იგი კიდევ უფრო დაიშლება, მას მოუწევს კავკასიის დატოვება და ამისგან ჯარიც ველარ იხსნის. არჩევნები საქართველოში - უკანონებს რუსეთს მის მარიონეტულ ხელისუფლებას და უხანგრძლივებს დღეებს. მსოფლიო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის გავლენის დღეები დათვლილია, მაგრამ იმ მომენტისთვის ჩვენ არ უნდა გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც სხვა უარესი ბატონის ხელში ჩაგვაგდებს. არ უნდა შევიკრათ ხელ-ფეხი ამ არჩევნებით, რათა გვქონდეს მორალური უფლება ყველაფერი თავიდან დავიწყოთ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველოს ასაშენებლად.

კორ. - რას ეფუძნება თქვენი პროგნოზი?

ზ.ტ. - ამჟამად რუსეთის წინააღმდეგ არის ერთგვარი შეთქმულება იმ ძალების მხრიდან, რომლებიც იბრძვიან ჩეჩნეთში, ტაჯიკეთში. ამდენი იარაღი და ფული იმიტომ კი არ იხარჯება, რომ მხოლოდ ჩეჩნეთი განთავისუფლდეს რუსის ჯარისგან, არამედ იმისთვის, რომ ხვალ დაისვას მთელი კავკასიის თავისუფლების საკითხი. ეს ხელს აძლევს და ძალზე სჭირდება მთელ რიგ მაჰმადიანურ ქვეყნებს (გარდა თურქეთისა) და ევროპის რამდენიმე დიდ ქვეყანას. მათვე არ სურთ კავკასიაში არა მარტო რუსეთის, არამედ ამერიკის გაბატონება და, საერთოდ, მისი ჰეგემონია. ეს ქვეყნები კოორდინირებულად და თანმიმდევრულად მოქმედებენ, რაც საქართველოსგან დამოუკიდებლად გაგრძელდება და თუ საქართველოს ხელისუფლება, ამ ვითარების საპირისპიროდ, რუსეთის მხარდამჭერი აღმოჩნდება, შეიძლება ჩვენი ტერიტორია გადაიქცეს სამხედრო პლაცდარმად, დაიბომბოს და კიდევ ერთხელ მძიმე ტექნიკით გადაიჯეგოს. ამიტომ, ქართველმა ხალხმა ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესებს, არამარტო იმიტომ, რომ ეს მორალურად სწორია, არამედ ამით დაიცვას ერი ფიზიკური განადგურებისგან. მსოფლიომ უნდა იცოდეს, რა სურს ქართველ ერს - ეს კი არჩევნების ბოიკოტით გაცხადდება.

კორ. - თუ მსოფლიო პოლიტიკური პროცესები მართლაც ასე წარიმართება, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი კავკასიის თავისუფლების პირობებში?

ზ.ტ. - გერმანიის გაერთიანებით - დაირღვა წონასწორობა, ძველი მსოფლიო წესრიგი ახლა ამერიკა ცდილობს, აღადგინოს პრინციპულად იგივე, მაგრამ მას ახალ მსოფლიო, მოწყობას უწოდებს; სურს თავის გავლენას დაუქვემდებაროს მსოფლიო პროცესები, მაგრამ ევროპისა და აზიის მრავალ დამოუკიდებელ და დაპყრობილ ქვეყანას ეს არ სურს. ძველი წესრიგი აღარ აღდგება და ამის კონტროლს ვეღარ შეძლებენ თვით დიდი სახელმწიფოებიც. ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოს აქვს შანსი ახალ მსოფლიო მოწყობაში დაიკავოს ღირსეული ადგილი კავკასიაში, თუ ჭეშმარიტად იბრძოლებს თავისუფლებისთვის. კავკასიას კი - უზარმაზარი პერსპექტივა გააჩნია. ორი ზღვა, კავკასიონი - ესაა ბუნებრივი ბარიერები სამი მხრიდან, თუ ამ ფარგლებში შეიქმნება კონფედერაციული სახელმწიფო, იგი შესაძლებლობებით გაუტოლდება დიდი შვიდეულის ქვეყნებს. მას შეეძლება გადაკეტოს აღმოსავლეთ-დასავლეთის გზები, იყოს ჩრდილოეთიდან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბუფერი, გაატაროს თავის ტერიტორიაზე ნავთობსადენები და გაზსადენები. ასეთ სახელმწიფოს ექნება დღევანდელ გერმანიაზე მეტი ტერიტორია, ეყოლება ესპანეთზე მეტი მოსახლეობა და, შრომისმოყვარეობის პირობებში, შეძლებს დაეწიოს იაპონიას თავისი განვითარებით. ჩვენი დასაყრდენი უნდა იყოს სწორედ ის ქვეყნები, რომელთაც ასეთი კავკასია სჭირდებათ. ესენია ჩვენი მეზობელი და მონათესავე სახელმწიფოები, როგორც კავკასიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლებთანაც, მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებისა, საქართველოს მუდამ ჰქონდა კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩვენ არ უნდა გადავიმტეროთ მეზობელი და ნათესავი, რათა ვასიამოვნოთ ჩვენი დამონების მსურველი რუსეთი და ამერიკა.

კორ. - რას იტყოდით არჩევნების მომხრე პოლიტიკოსებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებზე, რა ამოძრავებთ მათ?

ზ.ტ. - მათ ორ კატეგორიად დავყოფდი. პირველნი იბრძვიან სკამისა და მატერიალური დოვლათის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად, რაც ყოველთვის თან ახლავს ხელისუფლებაში ყოფნას ან მის მხარდაჭერას ტოტალიტარულ სახელმწიფოში; მეორენი - დაბნეული ხალხია, არსებული სინამდვილით უკმაყოფილონი, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ამით რაიმე შეიცვლება და ვერ საზღვრავენ, რომ ხვალაც იგივე დღე ელით, რაც დღესაა.

კორ. - კანონიერების მომხრეთა გარკვეული ნაწილი აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რას ფიქრობთ მათზე?

ზ.ტ. - ისინიც სწორედ ზემოხსენებული ორი კატეგორიიდან რომელიმეს მიეკუთვნებიან, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, თუ რეალურად მართლა ვინ იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

კორ. - რას იტყოდით თანამედროვე შიდაპოლიტიკური სიტუაციის შესახებ, როდესაც საქართველოში "აღმოჩნდა" ამდენი კრიმინალი მინისტრი, თანამდებობის პირი, ორგანიზაცია, რომელთაც "დემოკრატიულ რევოლუციაში" დიდი დამსახურება მიუძღვით? ან ამ პარლამენტის ბოლოდროინდელ მუშაობას როგორ შეაფასებთ?

ზ.ტ. - უნდა მოგახსენოთ, რომ მთელს ამ ვითარებაში ცუდად ვერკვევი და არც მაინტერესებს, რადგან ვთვლი, რომ არანაირი გავლენა საქართველოს ცხოვრებაზე, მის მომავალ ბედზე ამ მოვლენებს არა აქვს. ახლანდელი პარლამენტი და მთავრობა ქვეყანას არ განაგებს. მოსალოდნელია, რომ სწორედ ასეთი იქნება 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტიც და ამიტომ არ ვაპირებ მასში მონაწილეობას. ბოიკოტი, ამ შემთხვევაში, ბრძოლის ფორმაა, თუმცა, არსებობს ბრძოლის სხვა ფორმებიც.

კორ. - რა კონკრეტულ შედეგს შეიძლება ველოდოთ ბოიკოტისგან?

ზ.ტ. - თუ აქტიური ბოიკოტი რეალურად განხორციელდება, თავისთავად ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვან შედეგებს მოგვიტანს, მაგრამ თუ იგი ვერ განხორციელდა, რაც უფრო რეალურია დაპყრობილ ქვეყანაში, მისი განხორციელებისთვის ქართველი ხალხის აქტიური მოქმედების გაცხადებას უდიდესი გავლენა ექნება მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრზე. ერის ჭეშმარიტი ნების გამოხატვა, როგორც მორალურად, ასევე სამართლებრივად, კიდევ ერთ მტკიცე იურიდიულ საფუძველს შექმნის კანონიერების აღდგენის გზაზე.

---

## ისევე, როგორც საქართველოში

# "გრძელი დანების პოლიტიკა"

### რევოლუციები შთანთქავენ თავის გმირებს

საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდება წაუყენეს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მყოფ პირებს. უცებ "გაახსენდათ" მათი კრიმინალური წარსული და რუსეთის სპეცსამსახურებთან თუ რეაქციონერებთან ახლო ურთიერთობა. გააუქმეს სამთავრობო სტრუქტურებში მოქცეული, ხოლო თავისი არსით ტერორისტულ-მაფიოზური სამხედრო ფორმირება.

**იარაღიანი "ახალი ქართველები" გადემოკრატებულ ძველ პარტიულ ამხანაგებს უკვე ბალასტად მიაჩნიათ და კალათიდან ისვრიან. მით უმეტეს, რომ ეს კალათა საარჩევნო ყუთის ფორმისა გახლავთ.**

ბანალური ჭეშმარიტებაა - ღმერთიც, ერიცა და ისტორიაც ყველას თავისას მიაგებს. ახლაც ახალი არაფერი ხდება. სისხლიან-ცოდვიანი გზა მხოლოდ ქართველებს არ გაუვლიათ. ისინი არც პირველნი არიან და არც უკანასკნელნი, მაგრამ სანამ ამ გზაზე შედგებოდნენ, ჯობდა თავისი გერმანელი წინამორბედების მაგალითი გაეხსენებინათ. თუმცა, არც ახლაა გვიან. წინ კიდევ ბურუსით მოცული მომავალია და იქნებ გადავხედოთ ისტორიას.

გერმანიის რევოლუციის დამარცხებას ავსტრია-უნგრეთის არმიის დემობილიზებული ეფრეიტორი ადოლფ შიკლგრუბერ-ჰიტლერი მიუნჰენში შეხვდა. იგი იმჟამად გერმანიის მუშათა პარტიის რიგითი წევრი იყო. იქვე გაიცნო და დაუახლოვდა რაიჰსვერის კონტრდაზვერვის ოფიცერს - ერნსტ რემს. მომავალმა ფიურერმა მისგანვე შეითვისა ე.წ. "გრძელი დანების პოლიტიკა" და აიტაცა ლოზუნგი - "ჯერ სიტყვა, შემდეგ მახვილი". მალე მათ პირველი მსოფლიო ომის გმირი, საჰაერო ესკადრილია "რიჰტჰოფენი"-ს მფრინავი, ჰერმან ჰერინგი შეუერთდა და ჰიტლერის ორატორულმა ნიჭმა და ენერგიულობამ პარტიის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაზარდა. ხოლო ოფიცერთა ძალისხმევით, შეიქმნა გერმანიის გაერთიანებული ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის გასამხედროებულ მოიერიშეთა რაზმები SA (Sturm-Abteilung). მიუხედავად იმისა, რომ მათ მეთაურად ჰერინგი იყო დანიშნული, მაინც რემის მოიერიშეებს უწოდებდნენ, იმდენად დიდი იყო ამ უკანასკნელის გავლენა მოიერიშეებზე.

**SA პირველი დამრტყმელი ძალა იყო. იგი რბევისა და ტერორის საშუალებით ახორციელებდა "ხელისუფლებას ქუჩაში". ნაცისტური პარტიის ყველა ღონისძიება, პარტიის პირველი უჯრედის დაარსებიდან ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე, ამ ორგანიზაციის ფიზიკურ ძალას ეყრდნობოდა.**

თვით კაპიტანი რემი ზორბა მხარბეჭიანი მამაკაცი გახლდათ, დიდი ფიზიკური ძალისა და ენერგიის პატრონი, ყოველი პარტიული დავალების უსიტყვო შემსრულებელი და ამავე დროს ფრიად გარყვნილი. როდესაც მას უსაყვედურეს არც თუ ისე ღირსეული ქცევის გამო, უპასუხა: "მე ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებ, ხოლო სამსახურის საათების შემდეგ ჩემი პირადი ცხოვრება მაქვს". რემისა და მისი მოიერიშეების ტრაგიკული აღსასრული ნათლად გვიჩვენებს ტირანულ-პოლიციური სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ხვეულ გზას.

გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა. ანტანტამ ვერმახტი - არმი - გააუქმა და მხოლოდ "რაიჰსვერის", ანუ დაქირავებული ჯარის ყოლის უფლება დაუტოვა მარად მეომარ ერს. მილიონობით ვეტერანი და მუშა უსახსროდ და ულუკმაპუროდ დარჩა. ელზას-ლორენი, რური - ანუ გერმანიის სამრეწველო ცენტრები - ინგლის-საფრანგეთის კონტროლქვეშ მოექცა.

დამარცხებულ ქვეყანაში კრიზისია. ამ დროს პოლიტიკურ არენაზე ჩნდება "ეროვნული მედაფდაფე", როგორც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს, ადოლფ შიკლგრუბერ-ჰიტლერი. გვერდში მას ყავისფერხალათიანი მოიერიშეები უდგანან, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ლუდხანებში და მიტინგებზე დებოშიორობენ და ცხვირ-პირს უმტვრევენ "არაარიელებს". გაივლის ხანი და უკვე დიდ პოლიტიკურ თამაშში ჩაბმული ჰიტლერი მიუნჰენში ახდენს ე.წ. "პირველ რევოლუციას" - იგივე ლუდხანის პუტჩს. აქაც რემი და მისი ბიჭები ეხმარებიან. პუტჩი მარცხდება, მაგრამ "წილი ნაყარია" და გერმანიის სახელმწიფოს ბედის ბორბალი კარუსელივით იწყებს ტრიალს. ბრძოლა ხელისუფლებისთვის ნელ-ნელა ხურდება. არჩევნებში რამდენჯერმე დამარცხების შემდეგ, 1933 წელს, საბოლოოდ იმარჯვებს ნაციონალ-სოციალისტური პარტია და გერმანიას უკვე ახალი რაიჰსკანცლერი - ადოლფ ჰიტლერი ჰყავს. ფიურერობამდე ცოტაღა რჩება. ბებერი პრეზიდენტი - ფელდმარშალი ჰინდენბერგი - სათამაშო ტიკინას როლში აღმოჩნდა.

მოიერიშეები კი სიტყვიდან საქმეზე გადადიან - იწყებენ ებრაელთა მასობრივ დარბევებს, სინაგოგებისა და მაღაზიების ძარცვა-განადგურებას, არის პირველი მსხვერპლიც. ამ დროისთვის SS-ს მოიერიშეთა რიცხვი არაჩვეულებრივად იზრდება. ჯერ მას ომის ვეტერანთა ორგანიზაცია "ფოლადის მუზარადი" შეუერთდა, რომელშიც ნახევარი მილიონი წევრი ირიცხებოდა. მათ მაგალითს ვეტერანთა სხვა ორგანიზაციებმაც მიბაძეს. ასე რომ, 1933 წლის ბოლოსთვის მოიერიშეთა რიცხვი 4 მილიონს აღწევდა. მათი გავლენის ქვეშაა პარტია. სიმპათიები მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისა და ლუმპენების მხრიდან უდავოა.

ამ დროს აშშ-სა და ინგლის-საფრანგეთში სამთავრობო და ფინანსური ებრაული ლობი ხელისუფლებაზე ზეწოლით აღწევს იმას, რომ გერმანიის მთავრობას ეგზავნება საპროტესტო ნოტები, იბლოკება გერმანიის და გერმანელ მრეწველთა საბანკო ანგარიშები (მოგეხსენებათ, ტრადიციული საბანკო სახლებისა და ბანკირთა ეთნიკური წარმომავლობა).

**სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მძაფრდება. ერთი კია ნიშანდობლივი და საყურადღებო. კერძოდ, "ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა", შემუშავებული ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური "ლომების" მიერ, რომელიც დღესაც ძალაშია - ადამიანის სიცოცხლის უფლება. პიროვნების თავისუფლების უზენაესობა მხოლოდ მაშინ ახსენდება ცივილიზებულ დასავლეთს, როცა მოცემული მომენტისთვის, "ჩაგრული ერების" დაცვის მიზეზებით, უცხო სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა ესაჭიროება.**

რაიჰსკანცლერს ქუჩიდან მოყოლილი მეგობრების მიმართ ეჭვები გაუჩნდა. მოიერიშეთა ფაქტობრივ მეთაურად პარტიის "ნებიერი" კაპიტანი ერნსტ რემი ითვლებოდა. მის ხელში გრანდიოზული ძალა იკრებდა თავს. ხოლო მომავალ ფიურერს დიადი გეგმები აქვს, რომელთა განხორციელებას რამდენიმე ძლიერი ბერკეტი სჭირდება. პირველი - ფინანსები, საგარეო პოლიტიკური იზოლაციიდან თავის დაღწევა და მასთან "წყეული ებრაული" დასავლეთის ინვესტიციები (ოჰ, ისევ ეს ინვესტიციები), მეორე - არმიის თანადგომა და, მესამე - შინაური პრობლემების მოგვარება.

ფინანსები და ინვესტიციები - გერმანიის მსხვილი მაგნატები: კრუპი, ტისენი, კარდორფი, ბორზიგი და სხვები უკმაყოფილონი შეხვდნენ მოიერიშეთა მიერ გადმოსროლილ ახალ ლოზუნგს - "დავიწყოთ მეორე რევოლუცია", რაც ნიშნავდა: - პირველი რევოლუციით ჩვენ მოვიპოვეთ ძალაუფლება, მეორე რევოლუცია კი ეკონომიკის რეორგანიზაციისთვის გვჭირდებაო. აშკარა იყო საკუთრების გადანაწილების მცდელობა. ეს არც ოკეანისგადაღმელ ფორდებს აწყობდათ.

არმია - ამ დროისთვის პრეზიდენტის ჯანმრთელობა სერიოზულად შეირყა. ჰიტლერმა გადაწყვიტა საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტისა და კანცლერის თანამდებობების გაერთიანება. ეს სრულიად აშკარად განუცხადა კიდეც კრეისერ "გერმანიაზე" შეხვედრისას სამხედრო მინისტრს ბლომბერგს და გენერალ ფსიჩეს. ბლომბერგი უყოყმანოდ დაეთანხმა და წამოაყენა კონტრპირობები: რაიჰსვერის (არმიის) რაოდენობის გაზრდა, ოღონდ არა მოიერიშეთა კონტინგენტიდან. ამ საკითხზე ბლომბერგს კონფლიქტი ჰქონდა რემთან, რომელიც ცდილობდა თავისი მოიერიშეებით შეეღწია რაიჰსვერში და მოეპოვებინა გავლენა.

**საგარეო პოლიტიკური იზოლაციის გარღვევა და ინვესტიციების მიღება** - კრეისერ "გერმანიაზე" თათბირის შემდეგ, ჰიტლერმა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი გაგზავნა ევროპის დიდ სახელმწიფოებში არმიის 700-800 ათას კაცამდე გაზრდის თანხმობის მისაღებად. სამაგიეროდ, იძლეოდა პირობას, რომ

დასასრული მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "გრძელი დანების პოლიტიკა"

## რევოლუციები შთანთქავენ თავის გმირებს

დაშლიდა მოიერიშეთა რაზმებს. არც ერთ სახელმწიფოს არ უთქვამს ამაზე უარი. მსხვილი ?რეწველ-ფინანსისტებიც შეჰპირდნენ: სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადებაში მხარს დაგიჭერთ, ოღონდ გაგვათავისუფლეთ მოიერიშეებისგანო.

დისციპლინა - ჰიტლერს აგრძნობინეს, რომ მოიერიშეების ალზევებითა და ხელ-ფეხის გახსნით გადაამლაშა. ჯერ არ დამდგარა სანატრელი მომენტი. საჭიროა ქვეყნის შიდა სტაბილიზაციის უზრუნველყოფა და "წმენდის" პროცესების დარეგულირება, ანუ ჯერ მაღალპროფესიულ დონეზე მომზადება და შემდეგ ორგანიზებულად განხორციელება. ამისათვის კი გმირის შარავანდედიანი მოიერიშეები აბსოლუტურად გამოუსადეგარნი არიან. მათ "ჰიტლერიუგენდში" აღზრდილი ესესელები შეცვლიან პარტიის დამცველი რაზმებიდან (Scutr-Staffeln). ყოველ შემთხვევაში, ქუჩაში დებოშებისა და მიტინგების რბევის ნაცვლად, შემოთავაზებულია იმ დროისთვის ტექნიკურ დონეზე აღჭურვილი საკონცენტრაციო ბანაკები. საიდუმლო პოლიცია - გესტაპო და უშიშროების სამსახური SD-ც სრულ საბრძოლო ფორმაშია, თანახმად განაწესისა.

**ჰიტლერი ადრე მოიერიშეებს "პირველი დღეების მეგობრებს" უწოდებდა, ახლა კი შეაბრუნა პოლიტიკა და მოურიდებლად განაცხადა: " თუ ჩვენ დაგვჭირდება გადავყაროთ გემის ბაქნიდან პირველი დღეების მეგობრები, გავაკეთებთ ამას. ასეთი მსხვერპლი საჭიროა გამარჯვებისთვის. ჩვენ ისე განვმტკიცდით, რომ უკან არ ვიხევთ დაბრკოლებათა წინაშე. მუდამ გავიწყდებათ, რომ მე დამცინოდნენ, როცა 15 წლის წინ გამოვაცხადე - ერთ მშვენიერ დღეს გერმანიის სათავეში მოვექცევი-მეთქი. დღესაც უაზროდ იცინიან ზოგიერთები, შემდეგშიც ასე ვაპირებ ხელისუფლების სათავეში დგომას-მეთქი, რომ ვამბობ.**

ასე ყოფილა, თურმე, დიდ პოლიტიკაში - მეგობრები ვიყავით, მაგრამ... მავრმა თავისი საქმე აღასრულა, იგი უნდა წავიდეს." და "ახსენდებათ", რომ ერნსტ რემი ქუჩის დებოშიორია, მამათმავალია და, საერთოდ, "ხელს უშლის" ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას.

მუქარას მალე საქმეც მოჰყვა. საბაბის შესაქმნელად, გაავრცელეს ხმები, რომ ძველმა თანამებრძოლებმა უღალატეს ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას, მოკვლას უპირებენ "ეროვნულ მედაფდაფე" კანცლერს. არადა, მოიერიშეები არაფრის ბაიბურში არ იყვნენ, არც ჰიტლერის მკვლელობა მოსვლიათ აზრად. მათი "მეორე რევოლუციის" ლოზუნგიც არ გამოდიოდა ფიურერისადმი ერთგულების ფარგლებიდან. მაგრამ მათი დროც დადგა და საჭირო გახდა ყოველივე ზე-მოთქმულის გამოგონება.

ამ დროისთვის გერმანიაში პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. გაიხსენეს, რომ ნაცისტებმა წინა არჩევნები რამდენჯერმე წააგეს და ბოლო გამარჯვებაშიც უკვე ეჭვი შეჰქონდათ. რიგი პოლიტიკოსებისა მოითხოვდა ცხოვრების დემოკრატიზაციას. პრეზიდენტმა ჰინდენბერგმა ჰიტლერს უბრძანა აღედგინა სტაბილურობა. არმია კრეისერ "გერმანიაზე" მიღწეული გარიგების შესრულებას უცდიდა. დადგა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის დრო.

სისხლიანი ანგარიშსწორება 1934 წლის 30 ივნისს დაიწყო. ოპერაციას "გრძელი დანების ღამე" უწოდეს. მას პირადად ჰიტლერი და ჰერინგი ხელმძღვანელობდნენ.

... მიუნხენში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში დაინიშნა მოიერიშეთა რაზმების მეთაურთა შეხვედრა ჰიტლერთან. დათქმულ დროს ყველანი შეიკრიბნენ დარბაზში და უზარმაზარი მაგიდის გარშემო დასხდნენ.

მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია, რომ ყოველი მეთაურის გვერდით ადგილი დაიკავეს "ვილაცეებმა", ვისაც ისინი არ იცნობდნენ. ჰიტლერი აგვიანებდა. ნაშუაღამევს დარეკეს აეროდრომიდან, რომ იგი ჩამოფრინდა. ეს პაროლი იყო, "ვილაცეები" წამოხტნენ და უცებ განაიარაღეს მოიერიშეთა მეთაურები. მერე მიესივნენ, რევოლვერების სახელურებით და ბოთლების ნატეხებით ჩახოცეს.

ერნსტ რემი საწოლიდან გადმოათრიეს, დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო - "ჩემო ფიურერო".

ჰერინგმა იმავე ღამეს რკინის მუშტით მოსპო ოპოზიცია ბერლინში. დახვრიტეს მაღალი ჩინის ოფიცრები და გენერლები, ყოფილი თანამებრძოლები, პირადი მტრები და ისეთი ხალხიც, ვისაც მოიერიშეებთან საერთო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ოდესმე ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმის უფლება მიეცათ საკუთარი თავისთვის.

თავიდან ჰერინგის რეზიდენციაში ესესელებს მიჰყავდათ მოიერიშეთა რაზმების მეთაურები. მისსავე კაბინეტში ის, ჰიმლერი და გესტაპოს შეფი ჰაიდრიხი აწყობდნენ სასამართლო ფარსს. განაჩენი კი ყველასთვის ერთი იყო - დახვრეტა. სიკვდილმისჯილს ეზოში ხვრეტდნენ.

...მერე წინასწარ შედგენილი სიები ამოიღეს. გვარებს არც კითხულობდნენ. ჰერინგი ღრიალებდა მხოლოდ:

- ნომერი პირველი დახვრიტეთ
- ნომერი მეორე დახვრიტეთ
- ნომერი მესამე, მეოთხე და ა.შ.

ერთი დღის განმავლობაში შვიდი ათასი კაცი მოკლეს და ერთი ამდენიც საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს.

**აღსრულდა ღვთისა და ისტორიის სამართალი, მაგრამ გერმანული ტრაგედიისთვის ეს მხოლოდ უვერტიურა იყო. გერმანიას წინ ელოდა გაზვაგონ- გაზკამერები, კრემატორიუმები, სახრჩობელები ,"ობლავები", ლიდიცე, ოსვენციმი ... დაბოლოს, სამარცხვინო კაპიტულაცია.**

ამ საქმეს კი უკვე SA-ის [illegible] SS-ის სპეცზონდერკომანდები აღასრულებენ. მილიონობით ადამიანის ძვალ-რბილი და ფერფლი შეერევა ცოდვილ მიწას ან კრემატორიუმების კვამლს გაჰყვება. გერმანული "რკინის ფარდა" მხოლოდ მოკავშირეთა ჯარების ევროპაში გადასხმის შემდეგ ჩამოიხსნება. ცივილიზებულ დასავლეთს უკვირს, არ სჯერა ადამიანის ხელით ჩადენილი საშინელებების.

ხოლო მოგვიანებით, ნიურნბერგის პროცესზე, დემოკრატიის მამები თანაგრძნობით უგდებენ ყურს საბჭოთა ბრალმდებლის, რუდენკოს სიტყვას, რომელიც კომუნისტისთვის დამახასიათებელი ფარისევლური აღშფოთებით და ცინიზმით მოითხოვს ნაცისტ ლიდერთა სიკვდილით დასჯას. "გულაგების" შემქმნელი და კავკასიის ხალხთა ჯალათი იმპერიის წარმომადგენელი მხოლოდ დამარცხებული მტრის დანაშაულს ხედავს და აღწერს. სწორად ამბობდა რაიჰსმარშალი ჰერინგი: "ჩვენ რომ გაგვემარჯვნა, მაშინ თქვენ ისხდებოდით ჩვენს ადგილზე"-ო. სხვათა შორის, მიუხედავად რეპრესირებულობისა, დამნაშავე ნაცისტურ ორგანიზაციათა სიაში მოიერიშეთა რაზმები SA პირველ ადგილზე მოხვდნენ, თავისივე ჯალათ SS -ისა და AD -ს გვერდით. ესეც ისტორიული კანონზომიერებაა.

დღეს მავანნი აღტაცებით ცმუტავენ, როცა თბილისის "რევოლუციის" და რკინის დემოკრატიის გმირებს აპატიმრებენ ან მიპარვით კლავენ. ახია მაგათზე - ამბობენ, მაგრამ ავიწყდებათ უმთავრესი: ქაოსური რეპრესიების დრო წავიდა. მან თავისი უგვანო საქმე აღასრულა და იგი განწირულია... ოღონდ, ხვალ გვიან იქნება, რადგანაც ქუჩის დებოშიორებს და ნაგვის ბარიკადების რაინდებს ახალი იმედის არჩევნებში გამარჯვებული დახვეწილი სადამსჯელო მანქანა შეცვლის. ოფიციოზს "ებრაულ-კომუნისტური" საფრთხის გამოგონება არ სჭირდება. მსხვერპლი მას უკვე შერჩეული ჰყავს. ჯერ არაფერი დამთავრებულა, ყველაფერი მხოლოდ იწყება.

**გიორგი აბაშიძე**

წერილში გამოყენებულია ფრაგმენტები მიხეილ კვესელავას წიგნიდან "ას ერგასის დღე".

---

# TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) N21 (1995) in brief

## Western Credits in Favor of Shevardnadze Election Campaign

### The Former Boss of Security Service about he Planned Falsification

Shevardnadze as a politician is doing what he should to do. He has to conduct repressive measures, exile the Security Service. He has appointed the governors, chiefs of police departments. Everybody knows, that the man who governs the Ministry of Internal Affairs actually wins the elections. The voting boxes are already ready. They are already sealed. Population can hardly imagine the range of falsification of future November 5 elections.

Capital, if any, provides the possibility for straightforward actions in politics. If there existed serious independent expert commission, it would have found out that 24 million dollars have already been spent from one foreign credit only for the election campaign.

*The "Msgepsi" newspaper, Issue #6(45), 8-12.10, 1995*
*Igor Giorgadze: Confession of the Defendant*
*Fragments from the interview taben by Natalia Zholnorova ("Argumenti i Fabti" newspaper)*

## To the International Human Rights Organizations To Mass Media

Mass arrests of the supporters of the exiled President Zviad Gamsakhurdia started in West Georgia as the time of new elections approached, According to the information available to us in Samegrelo were arrested more than 25 persons, mainly former soldiers of the National Guards who allowed to fool themselves in peace-making propaganda of the actual authorities, gave away their weapons and returned to the peaceful life since 1994. Among those arrested are the members of Human Rights and political organizations. Georgian Helsinki Union does not have a comprehensive information about the arrested people yet since due to the further hardening of the regime the contact with those persons who regularly provided the Helsinki Union with information about the fact of human rights violation in this region, became more difficult. Mass searches have been performed in Zugdidi in the flats of the supporters of the exiled authorities, many political opponents of the regime were impelled to hide or leave the town. In Abasha in his own house was arrested the Chairman of Abasha branch of Georgian Helsinki Union Mr. Duru Gugushvili. We have all grounds to suppose that the only reason of his arrest was an active elections boycott propaganda among the local population.

The following people were summoned to the police: member of Board of Zugdidi guja Berulava, Velodi Pipia and Murman Sherozia, the resident of the village of Jvari, a well-known surgeon Konstantine Sherozia. After carrying out "preventive" processing, they all were released.

For the printing and distribution of the appeals of regional boycott committee in Zugdidi was searched without any warrant Lamara Kardava in her flat: the searchers took the documents and were looking for type-writer. Mrs. Kardava is fired from job for having a different opinion. The flat of the parents of Deputy Chairman of "Chkondideli" Organization Badri Kakachia was also searched. Mr. Kakachia was arrested two times within the last two months period. In the flat of the relatives of the member of Human Rights Zugdidi Section of Georgian Helsinki Union Commission Madlena Damenia, where she is living presently (since her own flat is occupied by the former head of Zugdidi Police) was also carried out unwarranted search. The visitor were again looking for a type-writer.

In Batumi were arrested the residents of Abasha Butkhuz Jalagonia and Eldar Kakuchia who were subsequently transferred to the police department of Abasha district. According to the preliminary data they are charged with high treason and bandit attacks. On September 13 on the territory of Zugdidi market the policemen Tsezar Gobechia and Pridon Chkheidze raided the distributors of the opposition newspapers. The distributors complained to the new administrator of Zugdidi Mr. Bondo Jikia (the former first Secretary of Regional Committee of Communist Party. He was recently appointed by Eduard Shevardnadze to replace the member of "Mkhedrioni" Edisher Chargazia) and promised them that such facts would never repeat in future. On the next day the distributors were again raided and the newspapers were confiscated.

In the police of the village of Chkadua of Zugdidi district the policemen severely beat human rights defender Gogi Shonia, the only reason being the fact that he had dared to pass the information about the situation in Georgia to the French guests, descendants of Ashil and Salome Murates. Mass arrests of "Mkhedrioni" members and promise of the authorities that they would investigate mass crimes and the facts of robbery committed by them with exceptional brutality in Samegrelo, as well as started repression once again is evident, that all the above actions are caused by the fear of the authorities that the local population will boycott the illegal elections.

*Human Rights Commission of Georgian HelsinЬi Union*

## Political Prisoner Gocha Makhviladze Is again on Hunger-Strike

It became known to us that the prisoner Gocha Makhviladze who was convicted as a participant of "Zviad Gamskhurdia and his Supporters' Case" and who is serving his term in Ksani Colony of Strict Regime, declared unlimited hunger-strike since October 2, 1995. Three days later, on October 5, 1995, the head of the Colony Mr. B. Topuria placed the hunger-striker in the punishment cell. On the same day Gocha Makviladze appealed with the statement to the US and Germany Embassies, International Red Cross and representative office of United Nations Organization, as well as State Committee for Human Rights and press. The statement stresses that as early as March 24, 1995 the political prisoner appealed to the Prosecutor General Mr. J. Babilashvili with the statement that he refused from the Amnesty declared according to the State Manifesto pf August 3, 1992 and demanded to investigate the Case of Attack of State Teleradio Department, hearing his case for the charge of "Attempt o Coup" and providing him with all the materials of the above "Case" to get familiar with (Gocha Makhviladze was arrested on June 24, 1992 in the building of Teleradio Department). On April 13, 1995 he appealed with the same statement to the Minister of Justice of Georgia - Mr. T. Ninidze, and on June 8 and August 3, 1995 - to the Chairman of State Committee for Human Rights Mr. S. Kavsadze. All three appeals of the convict are still remained without any answer. Presently the political prisoner is putting forward the same demand and is requiring for the meeting with Mr. Sandro Kavsadze and journalists. According to the information received from his family members his hunger-strike caused no reaction yet. The health of Gocha Makhviladze is seriously shaken as a result of more than one pr-

## The Lawyer Requires to Release the Political Prisoners

The Republic of Georgia to: The Head of the State Mr. E. Shevardnadze
Prosecutor General Mr. J. Babilashvili
Head of the Security Service Mr. A. Ioseliani
Chairman of the State Committee for Human Rights Mr. A. Kavsadze

On August 30, 1995 at 6 a.m. under the direct order of the head of Security Service I. Giorgadze in relation to the terrorist act of August 29, 1995 were arrested Zurab Vardosanidze, Tamaz Elashvili, Giorgi Oniashvili and others - total of 10 persons- against whom were brought juridically absolutely groundless charges envisaged by Articles 65, 67 and 73 of Criminal Code. The charges brought against them do not have any sound ground and proofs, no relation between the criminal action and obtained result has been traced.

The Head of the State Mr. E. Shevardnadze himself in his appearing by TV excluded the possibility of participation of his political opponents in the above terrorist act. Other people are suspected in committing of the terrorist act of August 29, 1995, and they are blamed for committing this specific terrorist action and this case is investigated by Investigator Department of the Prosecutor's Office of the Republic of Georgia under the supervision of the Procurator General of the Republic of Georgia. Since the charges brought against the above persons by the investigator department of the Security Service are absolutely ungrounded and are lacking any juridical proofs, we demand the immediate release of the people kept under preliminary arrest and closing of the charges brought against them on the basis of Item 2 of Article 5 of Legal Procedure of Criminal Code of the Republic of Georgia for he absence of corpus delicti.

The lawyers:
*Temur Gvishiani (defender of Z. Vardosanidze) Otar Abazadze (defender of T. Elashvili) Ketevan Bebauri (defender of G. Oniashvili)*

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia